ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

---

31 ოქტომბერი2023

ადამიანის უფლებათა ცენტრის მოკლე ანგარიში პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით

პროექტით - „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“, ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება საქართველოში მიმდინარე შეკრებებსა და მანიფესტაციებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას როგორც საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების, ისე მათი მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ქმედებების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებმაც თავი იჩინა, მათ შორის, 7-9 მარტის აქციებზე, სადაც მოქალაქეებია პროტესტებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ ინიცირებულ კანონპროექტებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“.[1] ამ აქციებს ადამიანის უფლებათა ცენტრი სრულად უწევდა მონიტორინგს. წინამდებარე მოკლე ანგარიშის მიზანი აქციის დაშლის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესის დარღვევისა და არაპროპორციული ძალის გამოყენების თაობაზე მონიტორინგის მთავარი მიგნებების ასახვაა. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, 7 მარტს შეკრება მშვიდობიანად მიმდინარეობდა.[2] დაახლოებით, 20:00 საათისთვის, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი.[3] ამ დროისათვის, აქციის მონაწილეთა რაოდენობა 10 000

---

[1] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 7-9.03.2023.

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

[3] პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა, ინტერპრესნიუსი, 7 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/laigj [17.09.2023].

აჭარბებდა.[4] პარლამენტის გვერდითა შესასვლელებიდან, ჩიტაძისა და ჭიჭინაძის ქუჩებზე, საჭირო გახდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების პარლამენტის შენობიდან გამოყვანა. სპეცდანიშნულების რაზმებმა პარლამენტის შესასვლელებთან მოაწყვეს კორდონი და დემონსტრანტებს არ მისცეს ამ ქუჩებზე გადაადგილების შესაძლებლობა. დაახლოებით 20:20 საათზე, ჭიჭინაძის ქუჩაზე პოლიციამ წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოიყენა წიწაკის გაზი[5] და დაიწყო შეკრების მონაწილეთა დაშლა, რასაც მალევე მოჰყვა კიდევ ერთი სპეციალური საშუალების - წყლის ჭავლის გამოყენება. ამ შემთხვევაშიც, აქციის მონაწილეები პოლიციას წინასწარ არ გაუფრთხილებია.[6] სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გაფრთხილება გაჟღერდა მხოლოდ ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ - ისეთ ვითარებაში, როცა აქციის მონაწილეებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო დაშლისათვის. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, 7 მარტს გამართულ საპროტესტო აქციაზე, პოლიციამ სპეციალური საშუალებები გამოიყენა აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე, რაც განმეორდა მომდევნო დღესაც.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, 8 მარტის აქცია, თავისი ბუნებით იყო მშვიდობიანი და აქციის მონაწილეებს არ ჰქონიათ ძალადობრივი განზრახვა. მიუხედავად ამისა, პოლიციამ მის დასაშლელად გამოიყენა სპეციალური საშუალებები - წიწაკის გაზი და წყლის ჭავლი - როგორც 8 მარტს, ისე შუაღამის შემდეგ - 9 მარტს. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც პოლიციელი აქციის ერთ-ერთ მონაწილეს თვალების მიმართულებით ასხურებდა წიწაკის გაზს.[7] ასევე, მედიის მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანდა, რომ პოლიცია წყლის ჭავლში ურევდა წიწაკის გაზს,[8] რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს[9] და ქმნის ადამიანთა მიზანმიმართული დაზიანების საფრთხეს.[10]

---

[4] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპრტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

[5] იქვე.

[6] არაპროპორციული ძალა - როგორ აფასებენ ყოფილი ომბუდსმენები 7 მარტის აქციის დაშლას?, რადიო თავისუფლება, 8 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/6c7tk [17.09.2023].

[7] მშვიდობიან მოქალაქეს სპეცრაზმელი მიზანიმართულად ასხამს წიწაკის სპრეის სახეში, ფორმულა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/9i628 [17.09.2023].

[8] მთავარი არხი, *წიწაკის სპრეი და წყლის ჭავლი - სპეცრაზმმა აქციის დაშლა დაიწყო*, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/zezc9 [16.10.2023]; იხ. ასევე: რადიო თავისუფლება, *სია: ცრემლსადენი გაზის და წყლის ჭავლის პარალელურად გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს*, 9.03.2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/nnooc [16.10.2023].

[9] იხ. მაგალითად, Resource Book on the Use of Force and Firearms in Law Enforcement, UN Office on Drugs and Crime (UNODC) & UN Office of the High Commissioner for Human Rights (UN OHCHR), (New York: UNODC & UN OHCHR, 2017), 90, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4th4x [17.09.2023].

[10] იქვე.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, დაფიქსირდა ეროვნული კანონმდებლობის დარღვევის არაერთი შემთხვევა პოლიციის თანამშრომლების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს.

კერძოდ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი პოლიციელებს აძლევს სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლებამოსილებას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად. მათი გამოყენების კონკრეტული სახელმძღვანელო ინსტრუქციები კი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვრება.[11] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად, სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე პოლიციის უფლებამოსილი პირი ვალდებულია, წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.[12] ასეთი გაფრთხილება უნდა იყოს მკაფიო და გასაგონი. შესაძლოა, საჭირო გახდეს მისი სხვადასხვა ადგილიდან გაჟღერება, რათა აქციის ყველა მონაწილემ შეძლოს მისი მოსმენა, ძალის გამოყენებამდე კი პოლიციამ სათანადო დრო უნდა მისცეს აქციის მონაწილეებს მეორე გაფრთხილების გასათვალისწინებლად.[13]

ამასთან, პოლიციის უფლებამოსილმა პირმა სპეციალური საშუალებები უნდა გამოიყენოს თანაზომიერების პრინციპის დაცვით, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და კონკრეტული გარემოებისათვის საჭირო მინიმალური ოდენობით.[14] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,[15] წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად ან შეიარაღებული დამნაშავის დასაკავებლად”. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, 7 მარტის საპროტესტო აქციის დროს არ გამოვლენილა არც ერთი დასახელებული შემთხვევა. ამდენად, პოლიციამ წყალსატყორცნი სატრანსპორტო

[11] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

[12] იქვე, მე-7 მუხლი.

[13] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Human Rights Handbook on Policing Assemblies*, Warsaw, 2016, p. 103, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/m5t9g [17.09.2023].

[14] იქვე, მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი.

[15] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

საშუალება გამოიყენა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მშვიდობიანი მოქალაქეების დასაშლელად.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, დაუშვებელია წყლის ჭავლის გამოყენება მშვიდობიანი აქციის დასაშლელად.[16] იმ შემთხვევაშიც კი, თუკი შეკრების დასაშლელად ლეგიტიმური საფუძველი არსებობს, აუცილებელია, ამასთან, ამ საშუალებების გამოყენებამდე გაკეთდეს სათანადო გაფრთხილება.[17] რაც შეეხება წიწაკის გაზს - ეუთოს სტანდარტების თანახმად, მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ცალკეული მოძალადე აქციის მონაწილეთა მოსაგერიებლად.[18] აკრძალულია წიწაკის გაზის გამოყენება 1 მეტრზე ნაკლები მანძილიდან (ოპტიმალური მანძილია 1.25-დან 2 მეტრამდე), აგრეთვე, აქციის იმ მონაწილის მიმართ, რომელიც არ იქცევა აგრესიულად.[19] პოლიციის მხრიდან განურჩევლად ყველას მიმართ ძალის გამოყენებამ შესაძლებელია გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია, რასაც ადგილი ჰქონდა 8 მარტის აქციის დროს.[20]

8-9 მარტს მიმდინარე შეკრებაზე, ზოგიერთი მონაწილის ქმედება გასცდა მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით დაცული სფეროს ფარგლებს.[21] ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოვლენილი იქნება მანიფესტაციის ცალკეული მონაწილის ან მონაწილეების მიერ შეუსაბამო ქცევა ან ძალადობის იზოლირებული შემთხვევები მშვიდობიანი აქცია ავტომატურად არ შეიძენს ძალადობრივი შეკრების ხასიათს, რაც თავის მხრივ, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძვლად ჩაითვლებოდა.[22] ამგვარ შემთხვევაში, პოლიციამ უნდა იმოქმედოს დიფერენცირებულად იმ მოქალაქეების მიმართ, ვინც ძალადობრივად იქცევა. პოლიციის მხრიდან განურჩევლად ყველას მიმართ ძალის გამოყენებამ

[16] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Guide on Law Enforcement Equipment, Most Commonly Used in the Policing of Assemblies*, 2021, p. 81.
[17] იქვე.
[18] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Human Rights Handbook on Policing Assemblies*, Warsaw, 2016, p. 79.
[19] Resource Book on the Use of Force and Firearms in Law Enforcement, UN Office on Drugs and Crime (UNODC) & UN Office of the High Commissioner for Human Rights (UN OHCHR), (New York: UNODC & UN OHCHR, 2017), 87, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4th4x [17.09.2023].
[20] იქვე.
[21] ვინ არის ლაზარე გრიგორიადისი - „მოლოტივის კოქტეილის“ სროლის ბრალდებით დაკავებული, რადიო თავისუფლება, 30 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ohshs [19.09.2023].
[22] Human Rights Handbook on Policing Assemblies, OSCE/ODIHR, 2016, p. 103, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/m5t9g [17.09.2023].

შესაძლებელია გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია, რასაც ადგილი ჰქონდა 8 მარტის აქციის დროს.[23]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, 7 და 8-9 მარტის აქციების დროს, გამოიკვეთა სამართალდამცავების მხრიდან ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის შემთხვევები. კერძოდ: პოლიციამ იმოქმედა სპეციალური საშუალებების გამოყენების ინსტრუქციების შესახებ შსს-ს მინისტრის ბრძანების საწინააღმდეგოდ, გამოიყენა სპეციალური საშუალებები - წყლის ჭავლი და წიწაკის გაზი - წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისა და პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპის დარღვევით. საერთო ჯამში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, 7 და 8-9 მარტის აქციების მიმდინარეობისას პოლიციის ქმედება - მშვიდობიანი აქციის დაშლა, განსაკუთრებით, სპეციალური საშუალებების გამოყენებით - უტოლდება შეკრების თავისუფლების დარღვევას, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართავთ რეკომენდაციით:

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოს სამართალდამცველების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებასთან, დაკავშირებული შემთხვევების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- სრულყოფილად გამოიძიოს სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და ასეთი ქმედების ფარგლების შესახებ გაცემული ბრძანების კანონიერება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ შეკრების თავისუფლებას და გაუმართლებლად არ ჩაერიოს ამ უფლებით დაცულ სფეროში;

[23] იქვე.

- სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა გასცენ წინასწარი გაფრთხილება და აქციის მონაწილეებს მისცენ გონივრული დრო დაშლისათვის;

- უზრუნველყოს სპეციალური საშუალებების გამოყენება პროპორციული ძალის პრინციპის შესაბამისად, მხოლოდდამხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში;

- საპროტესტო აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლისას დაიცვას ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები და საერთაშორისო სტანდარტები;

- გადაამზადოს სამინისტროს თანამშრომლები სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებთ და უზრუნველყოს სპეციალური საშუალებების გამოყენება შსს-ს მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.